

მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი



18 დეკემბერი, 2014 წ.

ერთი მხრივ, შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (შემდგომში უნივერსიტეტი) წარმოდგენლი მისი რექტორის – პროფ. ილიას ჩილოდლუს სახით და მეორე მხრივ არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიაციის ცენტრი“ მისი დამფუძნებლის გაგი მოსიაშვილის სახით (შემდგომში – „მხარეები“) აღარებენ, რა მედიაციის როლს და აუცილებლობას საზოგადოებაში როგორც კონფლიქტების მოგვარების ალტერნატიულ მეთოდს და დავების ეფექტური გადაწყვეტილების გზას, გამოხატავენ რა ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობის სურვილს, მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით,

თანმხდებიან შემდეგზე:

- შპს-ს უზუნველყოფს უნივერსიტეტის ბაზაზე მედიაციის ცენტრის სასარგებლოდ, სამუშაო ფართის გამოყოფას, ამასთან ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გავრცელებას მის ხელთ არსებული საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით.
- მედიაციის ცენტრი უნივერსიტეტის ბაზაზე უზრუნველყოფს მედიაციის, როგორც დავების ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალების პოპულარიზაციას, ტრენინგებს, სემინარებს, სასწავლო კურსებს და მედიაციის კლინიკას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეზე და კონფერენციების ჩატარებას, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, პრაქტიკულ საქმიანობას კონფლიქტური სიტუაციების მოსაგვარებლად, ასევე უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების ჩართულობას მედიაციის ცენტრის მიერ განხორციელებულ აქტივობებში.
- ხელმომწერი მხარეები ადასტურებენ, რომ ყველა ღონეს იხმარენ მემორანდუმით აღიარებული მიზნების მისაღწევად.
- წინამდებარე მემორანდუმის მხარეები ვალდებული არიან შეასრულონ მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, წარმართონ თავიანთი საქმიანობა ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის პრინციპებზე.

- მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეუთანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.
- ამ მემორანდუმის საფუძველზე წარმოებული მხარეთა ურთიერთობა არ ნიშნავს მხარეთა შორის რაიმე სახის ასოციაციის, კავშირის ან/და გაერთიანების შექმნას და მესამე პირებთან ურთიერთობებში არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება იმოქმედოს მეორე მხარის სახელით. მხარეები საქმიანობას წარმართავენ პარტნიორობის საფუძველზე, ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საქმიანობის ჩაურევლობის პრინციპებზე დაყრდნობით.
- წინამდებარე მემორანდუმში ნებისმიერი სახის ცვლილება, შესწორება ან/და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი გაფორმებისა და ხელმოწერის შემთხვევაში. მემორანდუმის ფარგლებში, დამატებითი შეთანხმება კონკრეტულ ურთიერთვალდებულებებზე უნდა გაფორმდეს დამატებით წერილობითი სახით.
- მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ორივე მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.
- მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია ერთი წლის განმავლობაში, მისი ხელმოწერის დღიდან.
- მემორანდუმის მოქმედება შეიძლება მოშლილ იქნას მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება ვადამდე მოიშალოს იმ პირობით, თუ კი ერთ-ერთი მხარე სხვა მხარეებს წინასწარ, ერთი თვით ადრე, წერილობით შეატყობინებს მემორანდუმის ცალმხრივად მოშლის შესახებ.

<p>„შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ რექტორი: პროფ. ილიას ჩილოღლი</p> 	<p>„საქართველოს მედიაციის ცენტრი“ დამფუძნებელი: გაგი მოსიაშვილი</p> 
--	--